



გუბალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

საწარმოს ზოებითი კატეგორიის განსაზღვრის სახელმძღვანელო

“

სახელმძღვანელო წარმოადგენს განმარტებით დოკუმენტს და არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა. სამსახური პასუხისმგებლობას იხსნის მესამე პირების წინაშე ნებისმიერი სახის დანაკარგსა და ზიანზე. სახელმძღვანელოს შინაარსსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის დებულებები.



საწარმოს ფომითი კატეგორიის განსაზღვრის სახელმძღვანელო

ამ სახელმძღვანელოს მიზანია საწარმოს ფომითი კატეგორიის განსაზღვრის პროცესის აღწერა და შესაბამისი მაგალითების ჩვენება. სახელმძღვანელო ეხება ფომითი კატეგორიის განსაზღვრას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომ - კანონი) განსაზღვრული სუბიექტებისთვის და ასევე, ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნების განსაზღვრას საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის (სდპ)¹.

¹ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი.

ზომითი კატეგორიის განსაზღვრა

საწარმოს ზომითი კატეგორია სამი კრიტერიუმის, აქტივების ჯამური ღირებულების, შემოსავლისა და დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის, მიხედვით უნდა განისაზღვროს **2016 წლის საანგარიშგებო პერიოდიდან და შემდგომ პერიოდებში**, რადგან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ² საქართველოს კანონი (შემდგომ - კანონი) 2016 წლიდან ამოქმედდა. 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოსენებული სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში საწარმო ჩაითვლება შესაბამისი ზომითი კატეგორიის საწარმოდ².

საწარმოს ზომითი კატეგორია პირველად 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის განისაზღვრება. თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, მაშინ მისი ზომითი კატეგორია პირველად 2016 წლის 24 ივნისის შემდგომ პირველი დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღის მდგომარეობით განისაზღვრება, ხოლო თუ საწარმო 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდებში დაფუძნდა, მისი ზომითი კატეგორია პირველად განისაზღვრება დაფუძნების პირველივე დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდის მონაცემებით.

ზომითი კატეგორიის ცვლილება მომდევნო პერიოდებში:

თუ სუბიექტი ორი უწყვეტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღარ აკმაყოფილებს საწარმოს ზომითი კატეგორიის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს, საწარმოს ზომითი კატეგორია შეიცვლება. სხვა სიტყვებით, თუ საწარმოს ზომითი კატეგორია ორი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღარ შეესაბამება იმ ზომით კატეგორიას, რომლის მიხედვითაც მოხდა ბოლო ანგარიშგების წარდგენა, ასეთ შემთხვევაში საწარმოს ზომითი კატეგორია შეიცვლება და მან უნდა წარადგინოს ანგარიშგება იმ კატეგორიის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება ბოლოს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მონაცემების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული პრინციპი არ ეხება იმ საწარმოს, რომლის ზომა წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით **ორი ან მეტი კატეგორიით გაიზარდა**. ასეთ შემთხვევაში საწარმოს ზომითი კატეგორია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში შეიცვლება და მან უნდა წარადგინოს ანგარიშგება იმ კატეგორიის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება ბოლოს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მონაცემების შესაბამისად.

² პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების ჯგუფების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ვრცელდება კანონით განსაზღვრული საწარმოს ზომითი კატეგორიების კრიტერიუმები და ამ კატეგორიებისათვის დადგენილი მოთხოვნები.

2017 წლის ზომითი კატეგორიის განსაზღვრა:

საწარმოს აინტერესებს, რომელი ზომითი კატეგორიის მოთხოვნების შესაბამისად ევალება 2017 წლის ანგარიშების სამსახურისათვის წარდგენა 2018 წელს:

მაგალითი №1.1:

საწარმომ 2016 წელს პირველად განსაზღვრა თავისი ზომითი კატეგორია და თავისი მონაცემებით აკმაყოფილებს IV კატეგორიის მოთხოვნებს, ხოლო 2017 წელს - III კატეგორიის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში საწარმოს ზომითი კატეგორია წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით არ შეიცვალა, ანუ საწარმო დარჩა IV კატეგორიის საწარმოდ, შესაბამისად საწარმოს 2017 წლის ანგარიშგება წარდგენის შემთხვევაში სამსახურისთვის უნდა წარედგინა, როგორც IV კატეგორიის საწარმოს³, ვინაიდან:

- ზომითი კატეგორიის ცვლილება დაფიქსირდა მხოლოდ ერთხელ: ზომითი კატეგორია შეიცვალა 2017 წელს 2016 წლის კატეგორიასთან შედარებით.
- საწარმო არ გაზრდილა 2 ან მეტი ზომითი კატეგორიით წინა საანგარიშგებო პერიოდთან. შედარებით

	2016	2017
პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი ზომითი კატეგორია	IV	III
ზომითი კატეგორია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ანგარიშგების წარდგენა სამსახურში	IV	? = IV

³ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მეოთხე კატეგორიების საწარმოები ანგარიშგებებს სამსახურს სავალდებულოდ წარუდგენენ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის არაუგვიანეს 2019 წლის 1 ოქტომბრისა, თუმცა უფლებამოსილი არიან, უზრუნველყონ ანგარიშგების იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის წარდგენა, რომლისთვისაც ეს ამ კანონით არ ევალებათ.

მაგალიტი №1.2:

საწარმომ 2016 წელს პირველად განსაზღვრა თავისი ზომითი კატეგორია და თავისი მონაცემებით აკმაყოფილებს IV კატეგორიის მოთხოვნებს, ხოლო 2017 წელს - II კატეგორიის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში 2016 წელს დადგენილი ზომითი კატეგორია შეიცვლება და საწარმო ჩაითვლება II კატეგორიის საწარმოდ მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიის ცვლილება დაფიქსირდა მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად საწარმომ 2017 წლის ანგარიშგება სამსახურს უნდა წარადგინოს, როგორც II კატეგორიის საწარმომ, ვინაიდან:

- საწარმო გაიზარდა 2 ზომითი კატეგორიით წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით.

	2016	2017
პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი ზომითი კატეგორია	IV	II
ზომითი კატეგორია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ანგარიშგების წარდგენა სამსახურში	IV	? = II

2018 წლის ზომითი კატეგორიის განსაზღვრა:

საწარმოს ზომითი კატეგორია პირველად 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის განისაზღვრება, რადგან კანონი 2016 წლიდან ამოქმედდა. საწარმოს აინტერესებს, რომელი ზომითი კატეგორიის მოთხოვნების შესაბამისად ევალება 2018 წლის ანგარიშგების სამსახურისათვის წარდგენა 2019 წელს:

მაგალითი №2.1:

საწარმოს ზომითი კატეგორია 2017 წელს იყო III, ხოლო 2018 წელს - II და ამასთან, საწარმომ ანგარიშგება 2017 წელს წარდგენის შემთხვევაში უნდა წარედგინა, როგორც III კატეგორიის საწარმოს, მაშინ სუბიექტს 2018 წელს ზომითი კატეგორია არ შეეცვლება და 2019 წელს 2018 წლის ანგარიშგება უნდა წარადგინოს, როგორც III კატეგორიის საწარმომ⁴ ვინაიდან:

- ზომითი კატეგორიის ცვლილება დაფიქსირდა მხოლოდ ერთხელ: ზომითი კატეგორია შეიცვალა 2018 წელს 2017 წლის კატეგორიასთან (რომლის მოთხოვნების მიხედვითაც სუბიექტს ევალებოდა 2017 წლის ანგარიშგების წარდგენა) შედარებით.
- საწარმო არ გაზრდილა 2 ან მეტი ზომითი კატეგორიით წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით.

	2017	2018
პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი ზომითი კატეგორია	III	II
ზომითი კატეგორია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ანგარიშგების წარდგენა სამსახურში	III	? = III

მაგალითი №2.2:

თუ საწარმოს ზომითი კატეგორია 2017 და 2018 წელს იყო II, ამასთან, საწარმოს ანგარიშგება 2017 წელს წარდგენის შემთხვევაში უნდა წარედგინა, როგორც III კატეგორიის საწარმოს (2016 წელს პირველად განსაზღვრული ზომითი კატეგორიის საფუძველზე), მაშინ საწარმომ 2018 წლის ანგარიშგება 2019 წელს უნდა წარადგინოს, როგორც II კატეგორიის საწარმომ, ვინაიდან:

- ზომითი კატეგორიის ცვლილება დაფიქსირდა ორჯერ: როგორც 2017 ასევე 2018 წლებში საწარმოს ზომითი კატეგორია განსხვავდება იმ ზომითი კატეგორიისაგან, რომლის მოთხოვნების მიხედვითაც მას ევალებოდა ანგარიშგების წარდგენა 2017 წელს.

	2017	2018
პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი ზომითი კატეგორია	II	II
ზომითი კატეგორია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ანგარიშგების წარდგენა სამსახურში	III	? = II

⁴ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მესამე კატეგორიების საწარმოები ანგარიშგებებს სამსახურს სავალდებულოდ წარუდგენენ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის არაუგვიანეს 2019 წლის 1 ოქტომბრისა, თუმცა უფლებამოსილი არიან, უზრუნველყონ ანგარიშგების იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის წარდგენა, რომლისთვისაც ეს ამ კანონით არ ევალებათ.

მაგალითი №2.3:

თუ საწარმოს კანონით დადგენილი კრიტერიუმებით გამოთვლილი ზომითი კატეგორია 2017 წელს იყო III, 2018 წელს - I და ამასთან, 2017 წელს წარდგენის შემთხვევაში საწარმოს ანგარიშგება უნდა წარედგინა, როგორც III კატეგორიის საწარმოს, მაშინ ამ საწარმოს 2018 წლის ანგარიშგება 2019 წელს უნდა წარადგინოს, როგორც I კატეგორიის საწარმომ, ვინაიდან:

- საწარმო გაიზარდა 2 ზომითი კატეგორიით (2018 წელს 2017 წელს წარსადგენ კატეგორიასთან (III) შედარებით).

	2017	2018
პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი ზომითი კატეგორია	III ↓ ✗	I ↖
ზომითი კატეგორია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ანგარიშგების წარდგენა სამსახურში	III	? = I

მაგალითი №2.4:

თუ საწარმოს ზომითი კატეგორია 2017 წელს იყო II, ხოლო 2018 წელს - I და ამასთან, საწარმოს ანგარიშგება 2017 წელს წარდგენის შემთხვევაში უნდა წარედგინა, როგორც III კატეგორიის საწარმოს (2016 წელს პირველად განსაზღვრული ზომითი კატეგორიის საფუძველზე), მაშინ საწარმომ 2018 წლის ანგარიშგება 2019 წელს უნდა წარადგინოს, როგორც I კატეგორიის საწარმომ, ვინაიდან:

- ზომითი კატეგორიის ცვლილება დაფიქსირდა ორჯერ: როგორც 2017 ასევე 2018 წლებში საწარმოს ზომითი კატეგორია განსხვავდება იმ ზომითი კატეგორიისაგან, რომლის მოთხოვნების მიხედვითაც მას ევალებოდა ანგარიშგების წარდგენა 2017 წელს.
- საწარმო 2018 წელს გაიზარდა 2 ზომითი კატეგორიით 2017 წლის წარსადგენ კატეგორიასთან (III) შედარებით.

	2017	2018
პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი ზომითი კატეგორია	II ↓ ✓	I ↖
ზომითი კატეგორია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ანგარიშგების წარდგენა სამსახურში	III	? = I



ცვლილება განვითარებისთვის



ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის N1
ტელ: +(995 32) 226 22 26
ელ-ფოსტა: info@saras.gov.ge
www.saras.gov.ge